პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 181 (5282) | სამშაბათი, 9 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

იაპონიის სამხედრო ხროვა სსრ კავშირთან ომში ითრევს იაპონიას („პრავდის“ მოწვინავე)

საბჭოთა ხალხი მუდამ მზად არის სოციალისტური სამშობლოს საზღვრების დასაცავად (1-ლი გვ.)

ხასანის ტბის რაიონში შეტაკებების გამო (1-ლი გვ.)

ჯ. ს. სტანისლავსკის ხსოვნას (1-ლი და მე-2 გვ.)

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვ.)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომსაბჭოში (მე-2 გვ.)

ბოლშევიკურად შევასრულოთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილება („პრავდის“ მოწვინავე. მე-3 გვერდი)

ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნას (მე-3 გვ.).

უცხოეთში:

ჩინელ ტროცკისტების ძირგამომთხრელი საქმიანობა (მე-4 გვ.)

გერმანიის მზადება ომისათვის (მე-4 გვ.)

საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.)

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში (მე-4 გვ.).

იაპონიის სამხედრო ხროვა სსრ კავშირთან ომში ითრევს იაპონიას

დაწყებული 29 ივლისიდან იაპონიის სამხედრო ხროვამ მოახდინა მთელი რიგი პროვოკაციული თავდასხმები საბჭოთა ტერიტორიაზე ხასანის ტბის რაიონში. ამ თავდასხმებში მონაწილეობას იღებდნენ იაპონიის რეგულარული ჯარები, რომლებმაც ათობით ყველა ყალიბის არტილერია, მათ შორის მძიმეც. ამ თავდასხმებს არ შეიძლება ეწოდოს „სასაზღვრო ინციდენტი“, როგორც ამის დახატვას ცდილობენ ამჟამად იაპონიაში სამხედრო ხროვასთან დაკავშირებული წრეები. საბჭოთა ტერიტორიაზე ხასანის ტბის რაიონში იაპონიის რეგულარული ჯარების შემოჭრა წარმოადგენს იაპონიის სამხედრო ხროვის აშკარა ცდას ჩაითრიოს იაპონია ომში საბჭოთა კავშირთან.

29 ივლისამდე საზღვრის ამ უბანზე ნორმალური მდგომარეობა იყო. მაგრამ 29 ივლისს იაპონიის რეგულარული ჯარები შემოიჭრნენ საბჭოთა ტერიტორიაზე და სცადეს ძალით ჩაეგდოთ ხელში სიმაღლე ბეზიმიანნაია. ეს თავდასხმა ჩვენმა მესაზღვრეებმა მოიგერიეს. ამის შემდეგ იაპონიის სამხედრო ხროვამ თავი მოუყარა აქ რეგულარული ჯარების დივიზიას არტილერიით და 31 ივლისს, უხეშად დარღვია რა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი, კვლავ სცადა ხელში ჩაეგდო სიმაღლეები ბეზიმიანნაია და ზაოზერნაია, რომლებიც უდავოდ საბჭოთა კავშირს ეკუთვნიან. ასეთი მოქმედებისათვის „სასაზღვრო ინციდენტის“ დარქმევა, სულ მცირე რომ ვთქვათ, სასაცილოა. სავსებით ცხადია, რომ იაპონიის სამხედრო ხროვამ ასეთი მოქმედება დაიწყო ეხლა თავდაპირველი მიზნით — ჩაითრიოს იაპონია ომში საბჭოთა კავშირთან.

იაპონიის სამხედრო ხროვა ცდილობს თავხედურად და უხეშად გაუწიოს შანტაჟი იაპონიისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს, რისთვისაც რეგულარულ ჯარებთან და არტილერიასთან ერთად მიმართა ცრუ მტკიცებებს იმის შესახებ, ვითომც ხასანის ტბა მანჯურიის ტერიტორიაზეა. ომის გამჩაღებელთა ეს ცრუ მტკიცებანი თავიდანვე მხილებულ იქნა. როგორც ცნობილია, საზღვარი სსრ კავშირსა და მანჯურიას შორის ზუსტად დადგენილი და ფიქსირებულია ხუნჩუნის შეთანხმებით, რომელიც დადებულია რუსეთსა და ჩინეთს შორის 1886 წელს, და შეთანხმებასთან დართული რუკით. როგორც შეთანხმება, ისე რუკა ზუსტად ადასტურებს, რომ სიმაღლეები ბეზიმიანნაია და ზაოზერნაია ჩვენს ტერიტორიაზე მდებარეობენ.

იმ შვიდი წლის მანძილზე, რაც იაპონიის ჯარების მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ გავიდა, იაპონიის სამხედრო ხროვა იყენებდა დივერსიებისა და პროვოკაციების უაღრესად სხვადასხვაგვარ მეთოდებს, რათა გაერთულებინა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობა და, საბოლოო ანგარიშით, გამოეწვია ომი. 31 იელისს საბჭოთა ტერიტორიაზე იაპონიის ჯარების შემოჭრა წარმოადგენს უდიდეს პროვოკაციას, რომელსაც ამ მიზნით კვანტუნის შტაბმა მიმართა. ამ თავხედური პროვოკაციის ორგანიზატორებმა საბჭოთა ტერიტორიაზე ჯარები არტილერიით, იმიტომ რომ ისინი ვარაუდობდნენ ამ გზით დაეთოთ ომის ხანძარი.

4 აგვისტოს იაპონიის ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა სიგემიცუმ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. მ. მ. ლიტვინოვთან საუბარში განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული ჰქონდა მშვიდობიანი გზით გადაეჭრა ინციდენტი, როგორც ლოკალური. მაგრამ ამხ. მ. მ. ლიტვინოვისადმი ბ-ნ სიგემიცუს განცხადებიდან უკვე ერთი დღის შემდეგ იაპონიის რეგულარულმა ჯარებმა ინტენსიური სროლა აუტეხეს საბჭოთა ტერიტორიას და ყველა ყალიბის მრავალრიცხოვანი არტილერიის, მათ შორის მძიმე არტილერიის, დახმარებით შეტევაზე გადმოვიდნენ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. თავისთავად ცხადია, საბჭოთა ჯარებმა სათანადო პასუხი გასცეს იაპონელთა ნაწილებს, თვითონ გადავიდნენ კონტრშეტევაზე და გასწმინდეს საბჭოთა ტერიტორია იაპონიის ჯარების ნაშთებისაგან.

იაპონიის ჯარებმა საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმა მოახდინეს საზღვრის მეორე უბანზეც, გროდეკოვოს რაიონში, იერიში მიიტანეს საბჭოთა სასაზღვრო საგუშაგოზე, ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს ამ საგუშაგოს დასახმარებლად მისულ საბჭოთა მაშველ ძალებს და დაიკავეს საბჭოთა ტერიტორიაზე სიმაღლე 588,3. ეს თავდასხმაც მოგერიებულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ, რომლებმაც გასწმინდეს აღნიშნული სიმაღლე იაპონელებისაგან.

ეს ახალი პროვოკაციები, რომლებიც ერთი ჯაჭვის რგოლებს წარმოადგენენ, მხოლოდ უცილობლად ადასტურებენ, რომ იაპონიის სამხედრო ხროვის მიზანია ყოველნაირი საშუალებით, უაღრესად გამოშვებევი და თავხედური საშუალებებითაც კი, ჩაითრიონ იაპონია ომში საბჭოთა კავშირთან.

დადგა რა იაპონიის სამხედრო ხროვის მიერ დაწყებული ამ პროვოკაციების წინაშე, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა მიეღო სათანადო კონტრზომები თავისი საზღვრების დასაცავად. საბჭოთა ტერიტორია გაწმენდილია იაპონიის ჯარების ნაშთებისაგან. მაგრამ სად არის გარანტიები, რომ იაპონიის სამხედრო ხროვა არ შეეცდება გაიმეოროს თავდასხმა საბჭოთა ტერიტორიაზე?

ამიტომ, თუ იაპონიის მთავრობას მართლა აქვს, როგორც განაცხადა 4 აგვისტოს იაპონიის ელჩმა სიგემიცუმ, მშვიდობიანი „განზრახვები“, მან უნდა მოგვცეს ნათელი და ზუსტი გარანტიები, რომ საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმები აღარ განმეორდება. მან, ბოლოსდაბოლოს, უნდა აღაგმოს თავისი სამხედრო ხროვა, რომელიც უკვე არაერთხელ ითრევდა ასეთი პროვოკაციებით იაპონიას ომში მის მეზობლებთან. დაე აიძულოს იაპონიის მთავრობამ კვანტუნისა და კორეის არმიები პატივი სცენ არსებულ საზღვარს.

იაპონიის მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა იმ მსხვერპლთათვის, რომლებიც დაეცნენ ორივე მხრიდან იაპონიის სამხედრო ხროვის მიერ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ჩვენს ტერიტორიაზე დაწყებული სამხედრო მოქმედების შედეგად.

საბჭოთა კავშირს არ სურდა და არ სურს ომი. პირიქით, იგი მიისწრაფოდა და მიისწრაფვის საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. ეს ზღვარული აღტაცებით გამომდინარეობს იმ წინადადებებიდან, რომლებიც შემდეგნაირად დაასკვნა ამხ. ლიტვინოვმა 7 აგვისტოს თავის საუბარში იაპონიის ელჩთან:

„საომარი მოქმედება სწყდება მას შემდეგ, რაც ორივე მხარე იკისრებს ვალდებულებას არ გადავიდეს და არ აწარმოოს სროლა განსაზღვრულ ხაზს იქით და გაიწვიოს თავისი ჯარები, უკეთუ ისინი შეთანხმების მომენტისათვის ამ ხაზს იქით აღმოჩნდებიან. ასეთ ხაზად აღიარებულ იქნება ხუნჩუნის შეთანხმებასთან დართულ რუკაზე ნაჩვენები საზღვარი და ამგვარად აღდგენილი იქნება მდგომარეობა, რომელიც არსებობდა 29 ივლისამდე, ესე-იგი, საბჭოთა ტერიტორიაზე იაპონიის ჯარების პირველ შემოსვლამდე“.

ასეთია საბჭოთა კავშირის პოზიცია. იგი ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს — მშვიდობიანობის შენარჩუნებას, საზღვარზე მყუდროების აღდგენას და ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც თავიდან აგვაცილებს საბჭოთა ტერიტორიაზე იაპონიის სამხედრო ხროვის შემდგომ პროვოკაციულ თავდასხმებს. მაგრამ საბჭოთა კავშირი არ თანხმდებოდა და არ დათანხმდება საზღვრის გადასინჯვას.

საბჭოთა კავშირი რჩება თავისი ძალღონისადმი მტკიცე რწმენით აღსავსე. მას არ სურს ომი. „ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ მუქარისა არ გვეშინია და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას“ (სტალინი).

ეჭვს გარეშეა, რომ იაპონიის ხალხების მასები, აგრეთვე მმართველი ბანაკის ის ელემენტები, რომლებიც ფხიზლად აფასებენ თავისი ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობას, დაინტერესებული არ არიან საბჭოთა კავშირთან ომით. უნდა ვიფიქროთ, იაპონიის სამხედრო ხროვამ ეს კარგად იცის. მაგრამ, ეტყობა, სწორედ ამიტომ ავანტიურისტები, რომლებიც ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ ჩაითრიონ იაპონია ომში საბჭოთა კავშირთან, სულ უფრო და უფრო შორს მიდიან თავის პროვოკაციულ მოქმედებაში.

გამომაფხიზლებლად უნდა იმოქმედოს იაპონელ იმპერიალისტებზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის

Հ. Ս. ԿՈՄԻՏԱՍԻ ԱՆՎԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ ԿՈՆՍԵՐՎԱՏՈՐԻԱՅԻ ԱՇԱԿԵՐՏՆԵՐԻ ՀԱՄԱՐ

ԵՐԱԺՇՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՅՏԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

Հանձնաժողովի նախագահ՝ պրոֆեսոր Ա. Ա. Ալեքսանդրով։

Հանձնաժողովի քարտուղար՝ Ա. Ա. Ռոստոցկի։

Հանձնաժողովի անդամներ՝ Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ա. Ալեքսանդրով։

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՊԵՏԱԿԱՆ ԿՈՆՍԵՐՎԱՏՈՐԻԱՅԻ ԱՇԱԿԵՐՏՆԵՐԻ ՀԱՄԱՐ ՀԱՆՐԱՀԱՎԱՔԱԿԱՆ ՄՐՑՈՒՅԹ

Հայաստանի պետական կոնսերվատորիայի աշակերտների համար հանրահավաքական մրցույթ է նշանակվում սեպտեմբերի 7-ին, ժամը 10-ին, կոնսերվատորիայի դահլիճում։

Մրցույթին կարող են մասնակցել կոնսերվատորիայի բոլոր բաժինների աշակերտները։

Մրցույթի ենթակա են հետևյալ կատարումները՝

1. Ֆորտեպիանո — Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ալեքսանդրով։
2. Ջութակ — Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ալեքսանդրով։
3. Վիոլոնչել — Ա. Ալեքսանդրով։
4. Ֆլեյտա — Ա. Ալեքսանդրով։
5. Կլարնետ — Ա. Ալեքսանդրով։
6. Ֆագոտ — Ա. Ալեքսանդրով։
7. Տրոմբոն — Ա. Ալեքսանդրով։
8. Դաշնամուրային անսամբլ — Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ալեքսանդրով։
9. Ջութակ և դաշնամուր — Ա. Ալեքսանդրով, Ա. Ալեքսանդրով։
10. Վիոլոնչել և դաշնամուր — Ա. Ալեքսանդրով։
11. Ֆլեյտա և դաշնամուր — Ա. Ալեքսանդրով։
12. Կլարնետ և դաշնամուր — Ա. Ալեքսանդրով։
13. Ֆագոտ և դաշնամուր — Ա. Ալեքսանդրով։
14. Տրոմբոն և դաշնամուր — Ա. Ալեքսանդրով։

Մրցույթի ենթակա են նաև կոմպոզիցիայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև դիրիժորական բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև երգեցողության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև դերասանական բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև ռեժիսուրայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև օպերատորական բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև նկարչության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև քանդակագործության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև ճարտարապետության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև գրականության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև լրագրության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև պատմության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև փիլիսոփայության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև իրավագիտության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև տնտեսագիտության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև մաթեմատիկայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև ֆիզիկայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև քիմիայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև կենսաբանության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև աշխարհագրության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև երկրաբանության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև հանքագործության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև մետալուրգիայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև քիմիական տեխնոլոգիայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև սննդի տեխնոլոգիայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև տեքստիլի տեխնոլոգիայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև կաշվի տեխնոլոգիայի բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև գյուղատնտեսության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև անասնաբուժության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև ֆիզիկական դաստիարակության բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև զինվորական բաժնի աշակերտների ստեղծագործությունները։

Մրցույթի ենթակա են նաև ռազմ

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებიდან

როგორ ზრდიან თვითეული ბოლშევიკის აქტივობას ლენინგრადის ფაბრიკა „ბოლშევიჩკაში“

ფაბრიკა „ბოლშევიჩკას“ პარტორგანიზაციამ სოგრძნობი მუშაობა ჩაატარა პარტიულ და უპარტიო მასების აღსაზრდელად. საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებებმა, რომლებიც სოფნიზლისა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლით ჩატარდა, ხელი შეუწყო ახალი კადრების დაწინაურებას, ტროცკისტულ-ბუხარინულ ბანდიტების გამომჟღავნებას და მათ ამოძირკვას.

ფაბრიკის კოლექტივმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას და პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობის გაჯანსაღებას. საპასუხისმგებლო ადგილებზე წამოყენებულ იქნენ ახალი, შემოწმებული, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული ადამიანები.

მიმდინარე წელს 30 კომუნისტი იქნა დაწინაურებული ჯგუფისა და საამქროს პარტორგებად და პარტკომის მდივნის მოადგილეებად. ბევრი კომუნისტი დაწინაურებულია ფრუნზეს რაიონის პირველად პარტულ ორგანიზაციებში პარტკომის მდივნებად.

ასეთმა გაბედულმა დაწინაურებამ ხელი შეუწყო პარტორგანიზაციათა კავშირის განმტკიცებას მასებთან, ასწია კოლექტივის პოლიტიკური აქტივობა. ახლა ფაბრიკაში 996 უპარტიოა. მათ შორის საამქროს კომიტეტების 175 ახალი წევრია და 93 პროფჯგუფორგი, ყველა ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იძლევიან საწარმოო გეგმების შესრულების მაღალ მაჩვენებლებს.

პარტიულ-მასობრივი, პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების, ახალი კადრების დაწინაურების, სტახანოვური მოძრაობის ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად ფაბრიკა „ბოლშევიჩკა“ გამოვიდა გარღვევიდან, მიაღწია გეგმის შესრულებას, გადაჭარბებას. ფაბრიკის პარტორგანიზაციამ კარგად დააყენა სამეურნეო კადრების სწავლების საქმე. 45 მუშა ტექნიკური სწავლების კვალიფიკაციის წრეებში მეცადინეობს. ამ ამხანაგებს პრაქტიკის სახით ევალებათ ბრიგადების, საამქროების ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ შემდეგში წარმოების მცოდნე წინამძღოლები გახდნენ.

პარტკომი პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად სისტემატიურად იწვევს თათბირებს ძირეულ სამეურნეო მუშაკებთან და დასაწინაურებელ რეზერვთან. აქ ირჩევა ტექნიკური სწავლების, საამქროებში სამეურნეო და პოლიტმასობრივი მუშაობის საკითხები.

პარტიული დავალებები, მათი შესრულების კონტროლი, მოხსენებები, პარტიული კრების და პარტკომის თათბირებისათვის საკითხების კოლექტიური მომზადება—ყოველივე ეს ზრდის კომუნისტების აქტივობას, ამრავლებს პარტიულ და სამეურნეო მუშაკების რეზერვს.

წრეს არ ჰყავს ხელმძღვანელი

(ბორჯომი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

პარტიული პროპაგანდა-აგიტაცია პარტიული მუშაობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საპასუხისმგებლო უბანია.

მაგრამ ამ საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა ბორჯომის შუშის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში. სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა აქ ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე. ღამის ცვლის აგიტატორები: გ. გუგუბერიძე, დ. ჩუტკერაშვილი, ა. რევაზაშვილი და სხვ. სრულიად არ ეწევიან სააგიტაციო მუშაობას. ეს მდგომარეობა კარგად იცის პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ამხ. ვ. გუდაძე), მაგრამ არავითარ ზომებს არ ღებულობს.

შუშის ქარხანაში ჩამოყალიბებულია პარტიული განათლების 5 სკოლა, მაგრამ არცერთი მათგანი არ მუშაობს ნაყოფიერად. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ ჭართულ წრეს ორი თვეა არა ჰყავს ხელმძღვანელი. ამ წრის მეცადინეობა პროპაგანდისტის უყოლობის გამო 6-ჯერ ჩაიშალა.

საკ. კ. პ. (ბ) წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი პოლიტსკოლის პროპაგანდისტი ამხ. დ. ნოზაძე უხეიროდ მუშაობს. იგი თვითონაც ვერ ერკვევა პროგრამისა და წესდების საკითხებში. ამის შემდეგ გასაგებია, თუ როგორ გასწევს ამხ. ნოზაძე პროპაგანდას პოლიტსკოლის მსმენელებში. კიდევ მეტი. ამხ. ნოზაძემ 8 ივლისს ჩაშალა პოლიტსკოლის მეცადინეობა.

სუსტად მუშაობს აგრეთვე აგიტკოლექტივი. პარტკაბინეტი საჭირო დახმარებას ვერ უწევს აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს. არ ტარდება საუბრები, კონსულტაციები და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს შუშის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნის საკითხს.

ბრ. ლომჯიძე.

პარტიული განათლება ყურადღების ცენტრში

თბილისის მეხუთე უბნის სავაგონო დეპოს პირველად პარტიულ ორგანიზაციაში (პარტკომის მდივანი ამხ. ქსოვრელი) ჯეროვანი ყურადღება ექცევა პარტიული პროპაგანდისა და პოლიტიკური აგიტაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

პარტიული წრეებიდან თავისი კარგი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევა ნორმალური ტიპის პოლიტსკოლა, სადაც პროპაგანდისტად რამდენიმე თვის წინათ დაწინაურეს ინჟინერი, პარტიის წევრი ამხ. გონგაძე. ის ესწრება სემინარის ყველა მეცადინეობას, რომელიც მოწყობილია რკინიგზის თბილისის რაიონის პოლიტგანყოფილებასთან. მეცადინეობაზე დასამუშავებელ მასალებს ამხ. გონგაძე ამზადებს ძირითადი წყაროების მიხედვით, ადგენს მოკლე კონსპექტს და ისე ცხადდება პოლიტმეცადინეობაზე, ხოლო მეცადინეობის პროცესში თვალსაჩინოებისათვის ფართოდ იყენებს გეოგრაფიულ რუკებს და სხვ.

აღსანიშნავია სავაგონო სამსახურის უფროსის — გარიშვილის არასწორი მოქმედება. მან პარტიულ კომიტეტთან შეუთანხმებლად თვითნებურად მოხსნა სამუშაოდან ისეთი მოწინავე პროპაგანდისტი, როგორიცაა ამხ. გონგაძე. რისთვისაც გარიშვილმა პასუხი უნდა აგოს.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი ქართული წრე, სადაც ამ უკანასკნელად პროპაგანდისტად მუშაობს თვით პარტკომის მდივანი — ამხ. ქსოვრელი. იგი ესწრება სემინარის მეცადინეობებს და ამუშავებს თემას ლენინისა და სტალინის ნაშრომების მიხედვით. წრეში ამჟამად მიმდინარეობს XII თემის — „ბოლშევიკების პარტია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და ახალი კონსტიტუციის გატარებისათვის ბრძოლაში“ — დამუშავება. წრეს ჰყავს მოწინავე მსმენელები, რომლებსაც არ აქვს არც ერთი გაცდენა და თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის მუყაითად მუშაობენ, ამიტომ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ძირითად საკითხებშიაც კარგად ერკვევიან; ასეთებია: სტახანოველი — ლელაშვილი, დაწინაურებულია პარტკომის მდივნის პირველ მოადგილედ; ქვრივიშვილი, შავი შუშიდან დაწინაურებულია უფროს მუშად და აგრეთვე არჩეულია პარტკომის მდივნის მეორე მოადგილედ; ხოლო ვ. სამნიაშვილი და ბ. ხიზანაშვილი ზეინკლობიდან დაწინაურეს საამქროს ოსტატებად.

მეხუთე უბნის სავაგონო დეპოს პარტიულ ორგანიზაციაში ცუდად არის დაყენებული თანამგრძნობების ბოლშევიკურად აღზრდა. ამ უკანასკნელად მათთვის, როგორც იყო, მოაწყეს პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრე, მაგრამ მეცადინეობაზე დასწრება არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, 15 ივლისს მეცადინეობას ნაცვლად 16 ამხანაგისა დაესწრო—5, ხოლო 25 ივლისს — 6.

სავაგონო დეპოს პარტორგანიზაციის პარტიულ წრეში მიმაგრებული არიან აგრეთვე ელექტრო უბანი № 2-ის კომუნისტები, მაგრამ ისინი სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას, თვით პარტორგა—ამხ. ი. ქალიაშვილმა უკანასკნელად ერთი-მეორეზე გააცდინა 4 მეცადინეობა.

თბილისის რაიონის პოლიტგანყოფილების პარტკაბინეტი სუსტად ეხმარება აღნიშნულ პარტორგანიზაციას პარტიული განათლების გარდაქმნაში. ამას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ პარტკაბინეტის გამგე— ამხ. მაისურაძე ერთხელაც არ მისულა სავაგონო დეპოს პარტორგანიზაციაში პროპაგანდისტებისათვის საჭირო დახმარების გასაწევად.

მდგომარეობის ასე გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია.

ალ. გოგოლაძე.

მოვაწყოთ მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილების გაზიარება

(ფოთი, საქ. კორესპონდენტისაგან)

როდესაც საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურო იხილავდა ნავსადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ პარტიის წევრობის კანდიდატებად შეღებულ ა. ზარგინავას და ა. ხოშტარიას დამტკიცების საკითხს, გამოირკვა, რომ ისინი ოდნავაც ვერ ერკვევიან პარტიის წესდების ელემენტარულ საკითხებში. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიუთითა ნავსადგურის პარტკომის მდივანს ამხ. ვ. კაცაძეს იმაზე, რომ საჭიროა თანამგრძნობებთან და პარტიის წევრობის კანდიდატებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება.

საჭირო იყო პარტიის წევრობის კანდიდატებთან და თანამგრძნობებთან მუშაობის ახალი მეთოდის გამონახვა, მათი პოლიტიკური აღზრდის გადაჭრით გაუმჯობესება.

ნავსადგურის პარტკომს ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია მოსკოვისა და თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა მდივნების წერილებმა, რომლებიც ცენტრალურ გაზეთებსა და ჟურნალებში („პროპაგანდისტი“, გაზ. „კომუნისტი“ და სხვ.) გამოქვეყნდა. მაგალითად, მოსკოვის ქარხნის „მოსკაბელის“ პარტორგანიზაციის გამოცდილების საფუძველზე (ჟურნ. „პროპაგანდისტი“ № 9) ნავსადგურში მოეწყო პარტიის წევრობის კანდიდატთა თეორიული კონფერენცია. პარტიის წევრობის კანდიდატებს დასამუშავებლად მიეცათ სხვადასხვა თემები საკ. კ. პ. (ბ) წესდებიდან. პარტკანდიდატებმა ტ. დანელიამ და ლ. ესაკიამ მოამზადეს თემა: „პარტიის წევრის მოვალეობანი“; ე. ბაღათურიამ და თ. კილასონიამ—„ბრძოლა პარტიის რიგების სიწმინდისათვის, პარტიაში მიღება და გარიცხვა“.

ნავსადგურის პარტორგანიზაციის ეს წამოწყება ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ფოთში ცოტა როდია ისეთი პარტორგანიზაციები, რომლებმაც ვერ გააუმჯობესეს პარტიის რეზერვთან მუშაობა, ვერ გბრდაჰქმნეს პარტიული მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ხე-ტყის სახერხი ქარხნის პარტორგანიზაცია (პარტორგი—ჰ. ლაშქარავა), სადაც უპარტიო აქტივთან სრულებით არ მუშაობენ, პოლიტიკურ-პარტიულ მუშაობას ვერ უკავშირებენ სამეურნეო საქმიანობას.

ფოთის პარტორგანიზაციაში აუცილებლად უნდა მოეწყოს მოსკოვის და თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება, გაცნობა და გადმოტანა. საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტმა ხელი უნდა მოჰკიდოს ამ საქმეს.

ზ. მელიქია

გუმბრინის სამუშაოები. აგიტატორები ა. აბაშიძე და ს. ვენეტაძე იხსენებენ რადიოლექციებს პარტიის ისტორიიდან.
ფოტო პ. ლუცენკოსი („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ეკატერინე გაბაშვილი

გარდაიცვალა ეკატერინე გაბაშვილი. მისი გარდაცვალება განსაკუთრებულ სინანულს იწვევს, რადგან მისი სახით ქართულმა ლიტერატურამ დაჰკარგა ძველი რეალისტური თაობის კიდევ ერთი უხუცესი მწერალი.

განსვენებული ოთხმოცდაშვიდი წლისა იყო — ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის თანამედროვე.

ქართველი ხალხის სახელოვან მწერალთა შორის ეკატერინე გაბაშვილს სრულიად სამართლიანად ეჭირა საპატიო ადგილი. ეს ადგილი მან მოიპოვა თავისი ნიჭითა და შემოქმედებით. იშვიათად თუ მოიპოვება ქართველი, რომელსაც არ წაეკითხოს ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩეხა“. მაგრამ საბავშვო ლიტერატურის ამ შესანიშნავი შედევრებით როდი განისაზღვრება ეკ. გაბაშვილის შემოქმედება.

ეკ. გაბაშვილი ლიტერატურის დიდ გზაზე გამოვიდა რეალისტური ტილოებით, რომლებითაც მანვილად და ნიჭიერად ასახავდა ქართველი ხალხის ცხოვრების იმ პერიოდს, როცა ამ ხალხის უმრავლესობა — გლეხკაცობა დაჩაგრულ მდგომარეობაში იყო.

შემთხვევითი არ იყო, რომ ე. გაბაშვილის პირველი ნაწარმოები „გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე“ (1870) დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“. ეს გაზეთი იმ პერიოდში თავგამოდებით ესარჩლებოდა ქართველ გლეხკაცობას და თავის ირგვლივ იკრებდა ისეთ მწერლებს, რომლებსაც აღელვებდა ქართველი გლეხის ბედიღბალი.

ე. გაბაშვილმაც მწერლობის ეს გზა აირჩია და შემდეგში არასდროს არ უღალატნია მისთვის. ბავშვებისათვის სწერდა იგი თუ დიდებისათვის, ყოველთვის რეალისტური სიცხადით გამოხატავდა სოფლის კლასობრივ ურთიერთობას, გლეხის ვაჭირვებულ მდგომარეობას.

ე. გაბაშვილი დაიბადა ქ. გორში 1851 წელს. განათლება მიიღო ქერქო პანსიონში, სადაც მშობლიურ ლიტერატურასაც ასწავლიდნენ. ამ პანსიონიდან გამოჰყვა მას ქართული ლიტერატურისადმი სიყვარული და 19 წლის ახალგაზრდა ქალმა თვითონაც სცადა თავისი კალამი მწერლობაში.

როგორც ნიჭიერმა მწერალმა ე. გაბაშვილმა ერთბაშად მიიჩქცია საზოგადოების ყურადღება, მით უმეტეს, რომ ის თავის მოთხრობებში გამოხატავდა იმ დროის იდეოლოგიურ მოძრაობას — ხალხოსნობის გავლენას.

თავისი მხატვრული შემოქმედებით ე. გაბაშვილმა დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ ლიტერატურაში. მისი კალამი სიმართლეს ემსახურებოდა, იგი ქართველი გლეხკაცობის ბედიღბალს დასტრიალებდა, აძაგებდა თავადაზნაურობას და ხალხის სხვა ექსპლოატატორებს. ამ მხრივ ეკ. გაბაშვილი ღირსეული განმგრძობი იყო ქართული ლიტერატურის იმ კრიტიკულ-რეალისტური ტრადიციისა, რომელიც დაამკვიდრა ილია ჭავჭავაძემ.

თუ ქართულმა ნაროდნიკულმა მოძრაობამ რაიმე კვალი დასტოვა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, ეს იყო მხატვრული მწერლობის საშუალებითაც, სადაც მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ეკატერინე გაბაშვილს. ამ პერიოდის მწერლები იმით განსხვავდებიან სხვა მწერლებისაგან, რითაც თვითონ ის დრო, რომელშიაც მათ უხდებოდათ მოღვაწეობა. ეს დრო იყო სავაჭრო კაპიტალიზმის სწრაფი ზრდის პერიოდი, როცა ირღვეოდა ქართული სოფლის ძველი ნატურალური მეურნეობის ფორმები, იბადებოდა ახალი სოციალური ურთიერთობა, სოფელში ჩნდებოდნენ ახალი სოციალური ფენები — ჩარჩ-ვაჭრები, კულაკები.

ნაროდნიკები იდეოლოგიურად ებრძოდნენ კაპიტალიზმს, მაგრამ ნაროდნიკული მწერლები, თავიანთი ნაწარმოებებით კაპიტალიზმის ზრდის სინამდვილეს ადასტურებდნენ, ამავე დროს იძლეოდნენ მის კრიტიკას. ამაში მდგომარეობდა ნაროდნიკული მწერლობის რეალიზმის დადებითი ზნარე.

ე. გაბაშვილის შემოქმედებაც სწორედ ამ თვისებითაა დაჯილდოვებული. იგი, როგორც რეალისტი მწერალი, სიმართლით ასახავდა სოფელს და ამჟღავნებდა მის კლასობრივ ბუნებას — ერთის მხრით გლეხობის გაჭირვებას, მეორე მხრით ახალი კაპიტალისტური კლასის საქმიანობას, ამავე დროს თავადაზნაურთა გადაგვარებას და გახრწნას, ამიტომ მის მოთხრობებში სინამდვილის სწორ ასახვასთან ერთად გაისმოდა პროტესტის ხმა ცხოვრების უსამართლობის წინააღმდეგ, რითაც იგი ხელს უწყობდა ხალხის შეგნების გამოღვიძებას.

ე. გაბაშვილის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „სურათი“, „მეურმის ფიქრები“, „სოფლის მევახშენი“, „ღვინია გადაიჩეხა“, „მაგდანას ლურჯა“, „თინას ლეკური“ ამისი ბრწყინვალე ილუსტრაციაა. მოთხრობაში „სოფლის მევახშენი“ ავტორი გვიხატავს, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ვაჭარმა გიქო დანდურაშვილმა სოფლის მიწები და მძიმე უღელი დაადგა სოფელს.

ქართულ ლიტერატურაში იშვიათად თუ ვინმეს დაუხატავს სოფლის იმდენი წვრილფეხა ვაჭარ-სპეკულანტები, როგორც ეს ეკ. გაბაშვილმა შესძლო. თითქმის ყოველ მის მოთხრობაში შეხვდებით ასეთ ტიპებს. მწერალი მათ აღწერს ზიზღითა და სიძულვილით. მოთხრობა „სოფლის მევახშენი“ ამ მხრივ შესანიშნავია ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედების დასახასიათებლად.

ჩარჩ-ვაჭრებისაგან სულშეხუთული გლეხობა 1905 წლის რევოლუციისათვის მზადების პერიოდში ამოძრავდა: „ალისუბანიც გამოფხიზლდა და პირველად სოფლის სხეულის მწუწვნელი გიქუა დაინახა მთელის თავისის ძლიერებით: მრელის კლანჭებით, ობობისებურის გაბმულის ქსელებით და იმის მყრალის ოხშივარით მოწამლული მსხვერპლებით და იმას პირველს ჰკრა დიდიხნიდან გესლით ავსებული ისარი“. გლეხებმა გადაუწვეს გიქუას თივის ზვინები, მაგრამ გიქუამ ააწიოკა სოფელი.

„სოფლის კივილ-წივილი ზეცის კიდეებამდე ადიოდა. მთელი იმის საზრდო-საბადებელი ყაზახებმა და მათ ცხენებმა შთანთქეს“ ამან გლეხობაში შურისძიება გაზარდა. პეტრემ გიქუა ხანჯლით დასჭრა. ამ რეალისტურ სურათში გამოხატულია მაშინდელი ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა; მწერლის დამსახურება იმაშია, რომ მან მხატვრულად გვაჩვენა ეს.

თავადაზნაურობის გადაგვარება ეკ. გაბაშვილმა გამოხატა ისეთი მოთხრობებში, როგორიცაა: „ერთი ძრავალთაგანის ამბავი“, „ბენუარი № 3“, „ქალების პორტრეტები“ და სხვ. მთელ რიგ თავის მოთხრობებში ე. გაბაშვილი იბრძვის ქალის განთავისუფლებისათვის მონური მდგომარეობიდან. იგი ხატავს სიყვარულის რომანტიულ ამბებს და ამ ფონზე ყოფაცხოვრებითს ტრადიციებს, რომელთა მეოხებით სპეციალის

ჩინელი ხალხი გმირულად ებრძვის იაპონელ სამურაებს

ჩინელი ტროცკისტების ძირგამომთხრელი საქმიანობა

ხანკოუ, 6 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „ხუამეიჯოუბაო“ იუწყება ჩინელი ტროცკისტების საზიზღარი და გამცემლური საქმიანობის შესახებ ძიანსისა და გუანდუნის პროვინციაში. ჩინელმა ტროცკისტებმა, რომლებიც იაპონიის დაზვერვის დავალებას ასრულებენ, მთელი თავისი საზიზღარი მუშაობა მიმართეს იქით, რომ ძირი გამოუთხარონ გომინდანის და კომპარტიის თანამშრომლობას და კომპარტიის ავტორიტეტს მოსახლეობის თვალში. ამ პროვინციების მოსაზღვრე რაიონებში, ყოფილი წითელი არმიის ნაწილების ფრონტზე წასვლის შემდეგ, ტროცკისტებმა შექმნეს თავიანთი რაზმები და ამ რაზმებს წითელ არმიად ასაღებენ. ტროცკისტი ბანდიტების რაზმები ძარცვავენ მოსახლეობას და წითელი არმიის სახელით აწყობენ პროვოკაციულ შეტაკებებს ადგილობრივ ჩინელ ჯართან.

ტროცკისტი ბანდიტების ნაწილი დაპატიმრებულ და დასჯილ იქნა. კომპარტიის ადგილობრივმა კომიტეტმა გამოაქვეყნა სპეციალური მიმართვა, რომლითაც ამჟღავნებდა ტროცკისტების საქმიანობას, მაგრამ ძიანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ყველა ტროცკისტი არ არის გამომჟღავნებული. მათი ნაწილი განაგრძობს ძირგამომთხრელ მუშაობას. გაზეთი მოუწოდებს ხელისუფალთ და მოსახლეობას ბოლომდე მოსპონ ყველა ტროცკისტი ბანდიტები, იაპონიის დაზვერვის საზიზღარი აგენტები.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ხანკოუელი და შანხაელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

5 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში ბრძოლები სწარმოებდა მდინარე იანძის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაპირებზე. ჩინელი ჯარი გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევს და დიდ ზიანს აყენებს იაპონელებს.

მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირზე ბრძოლა სწარმოებს ნიუტოუშანის მახლობლად (პოიანხუს ტბის დასავლეთით). 5 აგვისტოს ამ რაიონში იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს არა ნაკლებ 400 კაცისა. გზატკეცილი ხუკოუსა და პინძეს შორის (ძიუძიანის აღმოსავლეთით) გადაჭრილია ჩინელი რაზმების მიერ. იაპონელთა ზურგში, ხუკოუ-ძიუძიან —სადგურ შახეს რაიონში გამოჩნდნენ პარტიზანული რაზმები. 5 აგვისტოს პარტიზანები თავს დაესხნენ იაპონელთა რაზმს კუტანსა და ძიუძიანს შორის.

იანძის ჩრდილო ნაპირზე ჩინელთა თავდაცვის ხაზი გადის ხუანმეის (სუსუნის სამხრეთ - დასავლეთით) დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით. იაპონელთა მთავარი ძალები ამ რაიონში თავმოყრილია შუა გზაზე სუსუნსა და ხუანმეის შორის.

ჩრდილო-აღმოსავლეთით, ციანშანისა და ტაიხუს შორის, ჩინელთა ჯარი ანვითარებს წარმატებით იერიშებს, რაც აფერხებს იაპონელთა შემოტევას. ჩინელთა ჯარის ოპერაციებს ამსუბუქებს მოხერხებული მთიანი მდებარეობა, სადაც იაპონელთა მექანიზებულ ნაწილებს მოძრაობა უძნელდებათ.

4 აგვისტოს იაპონელთა ორი გემი შეეცადა ღობურების დანგრევას მდინარე იანძიზე, მაგრამ ჩინელთა სანაპირო არტილერიამ ჩაშალა მათი ცდა.

ჩინელი ჯარის შტაბის ცნობით, იანძის რაიონში იაპონელთა 6 დივიზია მოქმედებს.

ჩრდილოეთ ჩინეთში

3 აგვისტოს იაპონიის ჯარმა, ვერ გაუძლო რა ჩინელი ჯარისა და პარტიზანების იერიშებს, უკან დაიხია ქალაქ ლიშიდან (შანსის პროვინციის დასავლეთი ნაწილი). იაპონიის გარნიზონმა დაიხია ქალაქ ჯუნიანისაკენ (ლიშის სამხრეთით), რომლის მიდამოებში ბრძოლა სწარმოებს.

5 აგვისტოს იაპონელთა 38 თვითმფრინავმა თავდასხმა მოახდინა ქალაქ სიანზე (შანსის პროვინციის მთავარი ქალაქი). ქალაქის დასავლეთ გარეუბანში ჩამოგდებულ იქნა 100-ზე მეტი ყუმბარა. ამ თავდასხმას დიდი ნგრევა არ მოჰყოლია, მოკლულია ერთი გლეხი. იმავე დღეს იაპონელებმა მოახდინეს 4 თავდასხმა შანსის პროვინციის მთელ რიგ ქალაქებზე.



ფოტო. — ლ. გერიას სახელობის სახელმწიფო თეატრი.

„ბოლშევიკი“ № 7

გამოვიდა და ურიგდება ხელმოწერლებს უახლეს ჟურნალ „ბოლშევიკის“ № 7 (ივლისის) წინაური.

მოწინავე — საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

გ. ეგნატაშვილი — გამარჯვებული სოციალიზმის პაოლამენტი.

გ. დიმიტროვი — ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლის ორი წლისთავისათვის.

გ. კოკნაძე — სახალხო გახათლების ძირითადი ამოცანები.

ა. მირცხულავა — გამრავლოთ ახალგაზრდა სტახანოველთა რიგები.

ა. გასპარიანი — კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ მასობრივ-აგიტაციური მუშაობა მუშრომელთა შორის.

ა. ჭუთელია—დიდი რუსი ხალხის გენიალური შვილი.

აგიტპაპია-პროპაგანდის მასალები

უპარტიოთა წრეების მუშაობის სახიმუშო გეგმა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. საკაშვილი — გადაჭრით უნდა გავთუმჯობესოთ უურნალის მუშაობა.

გ. ნატროშვილი — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

9 აგვისტოს.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაციია თემებზე: 1) მენშევიკები და ბოლშევიკები სტოლიპინის რეაქციის პერიოდში და ბოლშევიკების ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად. (1908—1912 წ. წ). რუსულ ენაზე კონსულტანტი—ამხ. ლ. გეგეშიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

2) შემაჯამებელი ლექციათემებზე: მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904—1907 წ. წ.). ქართულ ენაზე კონსულტანტი—ამხ. სიფრაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტკაბინეტი — ლექციათემაზე: რსდპპ (ბ) VI ყრილობა და ამ ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენების ისტორიული მნიშვნელობა. ქართულ ენაზე კონსულტანტი—ამხ. დ. ყიფშიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ოლკკ კაბინეტი — ინდივიდუალური კონსულტაციები რუსულ ენაზე. კონსულტანტი—ამხ. მაჩაიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს იროდიონ ირაკლის-ძე თავდაშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. გეგორჩიანთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული, ოთახი № 24).

○

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი წინადადებას აძლევს ბენია ილიას-ძე ცხადაძეს, იულია ბესარიონის-ასულ ლორთქიფანიძეს, ვლადისლავ ლავრენტის-ძე გეგეჭკორს და ნატალია ვარდენის-ასულ დადუნაშვილს გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომში სამი დღის ვადაში.

○

საქ. კ. პ. (ბ) ბაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთები № 1534380, გაცემული ნიკოლოზ სოლომონის-ძე ჯიმშელის სახელზე და № 1521586, გაცემული აბელ ტარიელის-ძე ყიფშიძის სახელზე, საკანდიდატო ბარათი № 0713158, გაცემული დიმიტრი ლაზარეს-ძე კაპანაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0713118, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ პეტრაგია ივანეს-ასული ჭავთარაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი.

გალმა სახე იცვალა

მუყდრო და ერთფეროვანი იყო ცხოვრება. დაღამდებოდა თუ არა, წუმპეში ჩაგდებულ მიდამოს წყვდიადი მოიცავდა. მხოლოდ აქაიქ, ხის ჯოხებების ხშირი პუპრუტანებიდან მოსჩანდა ჭრაქის მბჟუტავი სინათლე. ამაზრზენი იყო ეს სიხათლე, მომაკვდავს ირს ხდებდა იგი „ქალაქს“.

საღამოსვე წვებოდა ყველა. მშვიდად იძინებდა გალი. მყუდროებას არღვევდნენ მხოლოდ ბაყაყები, რომლებიც ისე ხშირი იყვნენ, როგორც ბნელი ღამეები. ყიყინებდა ბაყაყთა მთელი ღაშქარი, იკლებდა მიდამოს.

— სად ჭრია ამდენი, ე გასაწყვეტი?

ჩაილაპარაკებდა რომელიმე, დასაწოლად გამზადებული გალელი და წყეველ-კრულვას ძეუთვლიდა ხალხის ბედის შავად გამომჭედელს.

ფენის ყოველ ნაბიჯზე შმორი და ჭაობი იდგა. ბაყაყებთან ერთად ბლომად ბუდობდა მალარიის გამავრცელებელი კოღოც.

ზაფხულის მოახლოებაც თავზარდაცემა იყო გალის მოსახლეობისათვის. დაცხებოდა თუ არა, ყოველ ოჯახში ოხვრა, კვნესა და ვაი-უშველებელი გაჩნდებოდა. ბორგავდა და იკუნჭსხებოდა ლოგინში მალარიასაგან წელმოწყვეტილი ადამიანი.

არავინ ფიქრობდა ამ საშინელი სენის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ანდა ვის შეეძლო? მშრომელ ხალხს ამისათვის არავითარი საშუალება არ გააჩნდა, ხოლო თავადაზნაურობა ჩოხა-ახალოხსა და ყანწებზე ფიქრობდა და არა ასეთ საკითხებზე.

სიღარიბე!

ზიზღით იგონებენ გალის მოხუცი ჩვენოვრებლები ძველ დროს. სიღარიბეს წელში მოკაკული ჰყავდა ხალხი. სიშიმშვლე, შიმშილი, აი მშრომელთა ხვედრი.

უკულტურობა, რელიგიური ცრუმორწმუნეობა სულს უხუთავდა მშრომელთ. არცერთი სკოლა, არცერთი საექიმო ან სხვა რომელიმე კულტურული დაწესებულება გალის მშრომელთათვის არ არსებობდა. სამაგიეროდ თავზე საყრელი იყო რელიგიურ ცრუმორწმუნეთა სადგური — ეკლესია. მარტო დიხაზურგაში, ამ პატარა სოფელში ორი ეკლესია იყო.

დაძრწოდნენ კისერმსუქანი მღვდლები, ზოდავდნენ „საიქოს სამოთხის“ შესახებ და ამით ნისლში ახვევდნენ საქაო ჯოჯოხეთს.

ყველაზე უხუცესი მცხოვრები ქალაქ ჯალისა, ახლა 140 წელს მიღწეული თავბახე ქეცბა ისე ვერ მოიგონებს წარსულს, რომ ერთი არ გადაფურთხოს. ის მართლაც ძველი ცხოვრების ცოცხალი მატიანეა!...

○

გათავდა!

მყუდრო და ერთფეროვანი ცხოვრება ჯრამში გადაიჩეხა, ოქტომბრის რევოლუციის ცხოველმყოფელი სხივებით გაბრა და განათდა გალის მიდამოც. წყეული დროებისაგან წელში მოკაკულმა ხალხმა ენა ამოიდგა, ფეხი აიდგა.

რა არ შეუძლია მონობის უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხს!

თვალის ოდნავი გადავლებაც საკმარისია დარწმუნდეთ იმაში, რომ გალი საგრძნობლად წავიდა წინ, მშრომელმა ხალხმა აიყვანა იგი.

ოდესღაც ჭაობით დაფარული, უკულტურო და ჩამორჩენილი მიდამო აყვავებულ, სოციალისტურ ქალაქად გარდაიქმნა.

თითქოს მიწის წიაღიდან ამოვიდნენ ქოხტა ორსართულიანი სახლები. ამწვანდა და დამშვენდა გალის არემარე. თავმომწონე მაგნოლიები, მოშრიალე ევკალიპტები, ქოლგასავით გაწმლილი პალმები და ათასნაირი ამწვანებული კვიპაროსები ალამაზებენ და ამშვენებენ ახლა მას.

ქ. გალი რაიონის ნამდვილი სამეურნეო და კულტურული ცენტრი გახდა.

აქ არის საკმაოდ კარგად მოწყობილი კინოთეატრი, ბიბლიოთეკა, სახელგამის განყოფილება და სხვა მრავალი კულტურული დაწესებულება.

ქალაქში სამი საშუალო სკოლაა 3.000-მდე მოსწავლით. აქ სტალინური ეპოქის ბედნიერი თაობა ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს. წელს I და II საშუალო სკოლებმა 19 ფრიადოსანი გამოუშვეს.

არის ელსადგური, რომელიც გაშენებულია მდინარე ერისწყალზე. დამლამობით სიბნელე ვეღარ ეუფლება განიერ ქუჩებს, ეარსკვლავებივით ციმციმა ელნათურები აჩირაღდნებენ ქალაქის მკერდს.

გიხარია ყველაფერი ეს და გჯერა, რომ ქალაქის განვითარება აქ არ შეჩერდება, მას კიდევ უფრო კარგი მომავალი აქვს.

○

ცოტა ზიანი როდი მიაყენეს ხალხის მტრებმა, ჭ. გალს, ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებული თვალთმაქცნი ყოველნაირად აფერხებდნენ მის განვითარებას.

დაკვირვით წესით სწარმოებს მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია. ახალი საქალაქო საბჭო ფხიზლად მუშაობს. მან უკვე ჩატარა თვალსაჩინო მუშაობა ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის.

მაგრამ ქალაქის საბჭოს კიდევ მეტი მუშაობა სჭირდება.

პირველ რიგში მან უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ზუსტად გაატაროს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, არ უნდა ეძნეს ადგილი მის დარღვევას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალ ქუჩებს, მათს კეთილმოწყობას. დიმიტროვისა და პარიზის კომუნის ქუჩები კი ჯერ კიდევ შუკების იერს ატარებენ, მათ კულტურულად მოწყობაზე საქალაქო საბჭოში ნაკლებად ფიქრობენ.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ქუჩების ასფალტირებას. არ კმარა ის მუშაობა, რაც ჩატარებულია ამ მიმართულებით. ქალაქის გული მოკირწყლული უნდა იყოს. ქალაქის ცენტრში არის დეკორატიული მცენარეებით მდიდარი ბაღი. აქ ისვენებენ ქალაქის მშრომელნი. არის შემოხვეგებრ, როდესაც აქ 2.000-მდე კაცი იყრის თავს, განსაკუთრებით ღამით. ხოლო ეს ერთადერთი ბაღი სრულიად არ არის განაბებული. ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესია.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლა დღეიდანვე უნდა დაიწყოს.

ამის შემდეგ ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო ლამაზი, კოხტა და მიმზიდველი იქნება.

ს. გვაგვალია

ამინდი

7 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში იყო ცვალებადი მოღრუბლული ამინდი, სამშრალე, წვიმა მოვიდა მხოლოდ ონის რაიონში. ყველაზე მაღალი ტემპერატურა (29 გრადუსი) აღინიშნული იყო სამტრედიაში, ყველაზე დაბალი (14 გრადუსი)—ონში. ჭუთაისში ტემპერატურა 20 გრადუსი იყო, ბათუმში—18, სოხუმში—19.

აღმოსავლეთ საქართველოში იყო მოღრუბლული ამინდი, ყველგან მოვიდა ელჭექის ხასიათის წვიმა, ყველაზე დიდი წვიმა იყო თბილისში, სადაც ნალექების რაოდენობა 21 მილიმეტრს აღწევდა. ყველაზე მაღალი ტემპერატურა (33 გრადუსი) აღინიშნული იყო ყარაიაში, ყველაზე დაბალი (16 გრადუსი) — ახალქალაქსა და გუდაურში. თბილისში ტემპერატურა 30 გრადუსს აღწევდა.

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლული ამინდი, ელჭექის ხასიათის უმნიშვნელო წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა — 18 გრადუსიდან ღამით 29 გრადუსამდე დღისით.

ნეგრინის დეპეშა

ბარსელონა, 7 აგვისტო (საკდესი). ესპანეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნეგრინმა გენერალ მიახს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ვულოცავ ლევანტის ფრონტის მეთაურთ და მებრძოლთ, რომლებმაც თავისი მეოდგარი წინააღმდეგობით უკანასკნელი დღეების განმავლობაში აიძულეს მტერი უკან დაეხია თავისი მიზნისაგან. ჯარის მიერ ამოკანების ღრმად შეგნებამ და სარდლობის, კომისრებისა და მთავარი შტაბის ურთიერთ თანამშრომლობამ მოუტანა რესპუბლიკას ეს გამარჯვება, რომელიც სრული სიცხადით გვიჩვენებს ჩვენი ხალხის მტკიცე ნებისყოფას დაიცვას თავისი თავისუფლება, რადაც არ უნდა დაუჯდეს იგი“.

ინგლისის გემის ბომბარდირება ფაშისტი პირატების მიერ

ლონდონი, 7 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბარსელონელი კორესპონდენტის ცნობით, 7 აგვისტოს ფაშისტ ინტერვენტების ორმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ინგლისის გემ „ლეიკ ლუგანოს“, რომელიც პალამოსში იმყოფებოდა (50 მილის მანძილზე ბარსელონის ჩრდილო-აღმოსავლეთით). ბომბარდირების შედეგად გემზე ხანძარი გაჩნდა. მოკლულია ერთი კაცი გემის კომანდიდან.

ივივე კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის კონსული ალიკანტეში დღეს დილით გარდაიცვალა იმ ჭრილობისაგან, რომელიც მიიღო გუშინ ფაშისტთა ყუმბარმტყორცნების ალიკანტეზე საჰაერო თავდასხმის დროს.

შრომის საბჭოს ჩამოყალიბება რესპუბლიკურ ესპანეთში

ბარსელონა, 7 აგვისტო (საკდესი). ჩამოყალიბებულია შრომის რესპუბლიკური საბჭო. ამ საბჭოს წევრები არიან: შრომის მინისტრი, სოფლის მეურნეობის, შრომისა და საზოგადოებრივი სამუშაოების მინისტრთა მოადგილეები, 4 წარმომადგენელი შრომის ნაციონალური კონფედერაციისაგან, 4 წარმომადგენელი მუშათა საერთო კავშირისაგან და 8 წარმომადგენელი საწარმოთა პატრონებისაგან, რომელთაგან ოთხს მთავრობა დანიშნავს საბჭოში.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 6 აგვისტოს ოფიციალური ცნობის მიხედვით, ფრონტის სამხრეთ უბანში, მდინარე ებროს ზონაში, ბრძოლას უკანასკნელი დღეღამის განმავლობაში ნაკლებად მწვავე ხასიათი ჰქონდა, ვიდრე წინა დღეებში. რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიის ბატარეებმა ჩამოაგდეს იტალიელთა ერთი და გერმანელთა ერთი ყუმბარმტყორცნი. ტყვედ წაყვანილია ორი გერმანელი მფრინავი - ოფიცერი. რესპუბლიკელთა მფრინავებმა ინტერვენტების ორ ესკადრილიასთან საჰაერო ბრძოლაში ფაშისტთა ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს და უდანაკლოსოდ დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში.

ლევანტის ფრონტი

ტერუელის დასავლეთით უნივერსალესის („მსოფლიო მთები“) მთების რაიონში რესპუბლიკელთა ჯარმა გაატმჯობესა თავისი მოწინავე საბრძოლო ხაზების ადგილმდებარეობა, დაიკავა ვილიარ დელ კობო და სიმაღლეები 1830 და 1627. ფაშისტთა ავიაცია ამ სექტორში გაძლიერებულ თავდასხმას აწარმოებდა რესპუბლიკელთა პოზიციებზე, რომლებიც მდინარე გვადალავიარის ჩრდილოეთით მდებარეობს.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

○

5 აგვისტოს ფაშისტთა თვითმფრინავების მიერ ნავსადგურ ვალენსიის ბომბარდირების დროს დაზიანებულ იქნა ინგლისის სავაჭრო გემი „სტენლეიგი“, რომელმაც ერთხელ უკვე განიცადა ფაშისტთა ავიაციის მხრივ თავდასხმა 27 ივლისს.

ალიკანტეს უკანასკნელი ბომბარდირების დროს, ფაშისტთა თვითმფრინავის მიერ ჩამოგდებული ყუმბარა დაეცა შენობას, სადაც შეიარებულნი იყვნენ მოსწავლენი. დაჭრილია 14 ბავშვი.

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

ვარშავა, 7 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „კურიერ ვარშავსკის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩეხოსლოვაკიის მფრინავების მიერ გერმანიის საზღვარზე შემთხვევით გადაფრენას გერმანიის ოფიციალური წრეები იყენებენ ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ახალი ინრიშების მიზნით. გერმანიის პრესას დიდი ხანია ისე მკაცრად არ გაუსაშკრებია ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ, როგორც ამჟამად.

ამავე გაზეთის პრაღელი კორესპონდენტი სწერს, რომ მთელი ეს „კომედია მფრინავებისა ბერლინის მიერ შეგნებულად და განზრახ არის ინსცენირებული იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად პრაღაში იმყოფება რენსიმენი“.

გერმანიის მზადება ომისათვის

პარიზი, 7 აგვისტო (საკდესი). მთელ რიგ საფრანგეთის გაზეთებს ბერლინიდან ატყობინებენ, რომ გერმანიაში სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღების მომენტიდან მიმდინარე წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას გერმანიის ჯარის დიდ საშემოდგომო მანევრებში სათადარიგოთა კომპანიური მასები. მანევრებისათვის კერძო პირებს ჩამოერთმევათ ურმები, ავტომობილები, ცხენები და სხვა ქონება იმ მიზნით, რომ მანევრები ისეთ პირობებში ჩატარდეს, რომლებიც მაქსიმალურად უახლოვდება ომის დროინდელ პირობებს.

ანტიფაშისტური დემონსტრაცია ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო (საკდესი). ნიუ-იორკში შესდგა 20-ათასიანი დემონსტრაცია ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ; დემონსტრაცია მოაწყო ამერიკის მშვიდობიანობისა და დემოკრატიის ლიგამ. დემონსტრაციაში 250 ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. ლიგამ მიზნად დაისახა ამ კვირაში ჩაატაროს კიდევ მთელს ქვეყანაში მიტინგები და დემონსტრაციები.

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

ღია ესტრადა

9 აგვისტოს ტალ. № 70
სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის
გასტროლები
„ქორწილი მალინოვკაში“
მუს. კომ. 3 მოქ. 5 სურ.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი 9 ს. 15 წ.
დაიწყო მუდმივ ბილეთებზე მე-3 შესატანის მიღება.

9 აგვისტოს
ხმოვანი
კინო-ფილმი
ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით 50

განცხადებების მიღებაა
გაზეთებში:
„კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მუშა“, „პროლეტარი“ და „ენი-ქედნი“
სწარმოებს
დილის 9 საათიდან 2½, ს-მდე
„კომუნისტის“
გამომცემლობაში
რუსთაველის პროსპექტი, № 34.

საქ. სარეწაო საბჭოს
„საშმრეწვმშენკავშირის“ პირველი
ყრილობის დელეგატთა
საყურადღებოდ.
ა. წ. 10 აგვისტოს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. გლეხთა სახლის კლუბში (თბილისი, ვოლოდარსკის ქ. № 11) გაიხსნება „სარეწაო საბჭოს“ „საშმრეწვმშენკავშირის“ დელეგატთა პირველი ყრილობა.
ყველა დელეგატები, არჩეულნი არტელების მიერ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ კავშირის ორგ. სექტორში სადელეგატო მანდატების მისაღებად ამხ. მამალაძესთან. 10 აგვისტოს დილის 9 საათიდან დღის 4 საათამდე.
საქ. „საშმრეწვმშენკავშირის“ ორგბიუროს თავმჯდომარე გოგიშვილი.
1747

საქ. ს. ს. რ. ადგილ. მრეწველ. სახ. კომისარიატი.

საქ. მარმარილოს ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი (ათას მანეთებში) პასივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი	№ № რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებები	396	1	საწესდებო ფონდი	705
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	76	2	საამორტიზაციო ფონდი	28
3	დაუმთავრებელი წარმოება	5	3	რეზერვები და მოსალოდნელი გადასახდელები	5
4	მზა ნაწარმი და საქონელი	255	4	მოკლევადიანი კრედიტები	25
5	საგზები, გამოყოფილი სარეალიზაციოდ ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციის წესით	3	5	ანგარიშსწორებანი	295
6	გადაგზავნილი საქონელი	63			
7	საქონელი ფასგადაუხდ. მყიდვ. მიერ	58			
8	ფულადი საშუალებები	8			
9	ანგარიშსწორებანი	77			
10	მომავალი დროის ხარჯები	28			
11	განყენებული საშუალებანი	30			
12	ზარალი 1937 წლისა	50			
	ბალანსი...	1.058		ბალანსი...	1.058

ზარალ-მოგების ანგარიში 1937 წ. (ათას მან.)

1. სხვადასხვა ზარალი	57	1. მოგება გაყიდვისაგან	1
		2. სხვადასხვა დაგროვებანი	6
		3. წმინდა ზარალი	50
ბალანსი...	57	ბალანსი...	57

დირექტორი ნ. გერძენიშვილი. მთ. ბუღალტერი ქ. ებანოძე.

ბალანსი და ზარალ-მოგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ ადგილ. მრეწველობის სახკომის მიერ (დადგ. 1938 წლის 2 მარტის თარიღით № 26) და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1640 საქ. ადგილ. მრეწველობის სახ. კომისარ. მთავარი ბუღალტერი ჯანელიძე.

საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის
სუბტროპიკული ფაკულტეტის კულტურული განყოფილების მეოთხე კურსის
სტუდენტთა საუურადღებოდ
ცხადდება,
რომ ისინი, საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ვალდებული არიან გამოცხადდნენ 13 აგვისტოს შემდეგ გაზეთში:
ნოსირში—ჯგუფი № 32, ჩაქვში—ჯგ. № 33, ურეკში—ჯგ. № 34 და ლაითურში—დანარჩენი ჯგუფების პირველი ნაკადიდან დარჩენილი სტუდენტები.
1748 ინსტ. დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი.

მ/წ. 11 აგვისტოს საღ. 6 საათზე ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქ., № 5) მოწვეულია საქ. მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრ. კომიტეტის მე-2 პლენუმი.
დღისწესრიგი:
1. სოც. შეჯიბრებისა და დამკვრელობის მდგომარეობა საქ. სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებებში (მომხსენებელი—ამხ. ვ. ბახტაძე).
2. სოფლის საექიმო პუნქტების შევსების შესახებ სამედიცინო პერსონალით (მომხსენებელი—საქ. ჯანსახკომი ამხ. ო. თოდაძე).
3. მედსანშრომის წევრთა შორის წ/კ ეცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი—ამხ. ი. ელიაშვილი).
4. კავშირის ც. კ. სოც. დახვევის 1937 წ. ბიუჯეტის შესრულება და 1938 წ. ბიუჯეტი (მომხსენებელი—ამხ. რამიშვილი).
5. საქ. მედსანშრომის 1937 წ. პროფ. ბიუჯეტის შესრულება და 1938 წლ. ბიუჯეტი (მომხსენებელი—ამხ. რამიშვილი).
6. შრომის ინსპექტორის დამტკიცება (მომხსენებელი—ამხ. ვ. ბახტაძე).
7. საორგანიზაციო საკითხები (მომხსენებელი—ამხ. მაჩიტაძე).
211 საქ. მედსანშრომის კავშირის ც. კ. პრეზიდიუმი.